



მენორა

გამოდის
1993 წლის
მარტიდან

დამოუკიდებელი ებრაული ბაჰემი საქართველოში

„MENORA“ INDEPENDENT JEWISH NEWSPAPER IN GEORGIA

הנורה

„МЕНОРА“ НЕЗАВИСИМАЯ ЕВРЕЙСКАЯ ГАЗЕТА В ГРУЗИИ

0360სი
(თამუზი)
№6 (380)
(5773)
2013

“הנורה”

עיתון יהודי

בגוריה

ისრაელის დამოუკიდებლობის დღე

ისრაელის დამოუკიდებლობის 65-ე წლისთავის აღსანიშნავად ისრაელის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა საქართველოში იუვალ ფუქსმა, საზოგადოებრიობის წარმომადგენლები თავის რეზიდენციაში მიიწვია. მან ასეთი სიტყვით მიმართა სტუმრებს:

ბ-ნი იუვალ ფუქსი:

პატივცემულო სტუმრებო, ქალბატონებო და ბატონებო, მეგობრებო!

— ნელს ისრაელი დამოუკიდებლობის 65-ე წელიწადს აღნიშნავს, რამდენიმე დღის წინ დამოუკიდებლობის დღე საქართველოში იხეიმა, 1 ივნისს კი ისრაელსა და საქართველოს შორის დიპლომატიური ურთიერთობის დამყარებიდან 21-ე წელიწადი შესრულდა. ჩვენს ერებს შორის მეგობრობა გაცილებით ხანგრძლივია. ყოველი ჩვენგანი პატივს ვცემთ თანაცხოვრების, ერთობისა და ტოლერანტობის მრავალსაუკუნოვან ისტორიას.

ორი ათწლეულის განმავლობაში დიპლომატიური ურთიერთობებით ბევრ წარმატებას მივაღწიეთ, თუმცა, კვლავაც ბევრი გამოწვევა გვაქვს მისაღები. დარწმუნებული ვარ, ერთად ნებისმიერი პრობლემის დაძლევა შეეძლებო.

უახლოეს მომავალში საქართველოს პრემიერ-მინისტრი ისრაელს ეწვევა. ეს ვიზიტი ისრაელისა და საქართველოს ურთიერთობის ყველა ასპექტს განავითარებს – პოლიტიკურს, ეკონომიკურსა და კულტურულს.

ისრაელისა და მისი დამოუკიდებლობის ისტორია უნიკალურია. იგივე შემიძლია, ვთქვა საქართველოზეც. ყოველი ჩვენგანი ზრუნავს საქართველოზე და ქვეყნის სამომავლო განვითარებაზე. ჩვენს ხალხებსა და ქვეყნებს მშვიდობას, სტაბილურობას და განვითარებას ვუსურვებ.

„მენორა“ დღესასწაულზე მოსულ სტუმრებს გაესაუბრა:

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი ქ-ნი მაია ფანჯვიციძე:

— 1948 წლის 14 მაისს ისრაელის სახელმწიფოს დაარსება არის ისტორიული სამართლიანობის აღდგენა, სწორედ ამიტომ ეს არის მთელი მსოფლიოს მასშტაბით მისალოცი და მისასალმებელი ფაქტი. გულთ და სულით ვულოცავ ისრაელის სახელმწიფოს ამ მნიშვნელოვან დღეს და ვუსურვებ ყველაფერ საუკეთესოს.

საქართველოს მთავარი პროკურორი ბ-ნი არჩილ კვიციანი:

— დღეს აღინიშნება 65-ე წლისთავი ისრაელის სახელმწიფოს დამოუკიდებლობისა. ეს რეზიდენცია ჩემთვის ნაცნობია, მაშინ როდესაც მე, როგორც ადვოკატი, ვიცავდი ებრაულ ბიზნესმენებს, ხშირად მოვდიოდი ხოლმე აქ. მე და იცხაკ გერბერგი, რომელიც გახლდათ ისრაელის ელჩი საქართველოში, ვჭჭობდით როგორ დავხმარებოდით ამ ადამიანებს. ახლა, ამ შემთხვევაში, პროკურორის რანგშიც სრულიად არ ვგრძნობ თავს უცხოვ. მინდა მივულოცო ყველას, ყველა ებრაელს — მცხოვრებს თავის სამშობლოში, მცხოვრებს საქართველოში, საელჩოს თანამშრომლებს, რომელთა ადვოკატიც ვიყავი მე. ისრაელი ჩემთვის ძალიან ახლობელი ქვეყანაა და მინდა მთელი სულით და გულით ვუსურვო წარმატებებს.

კომპოზიტორი და ღირსი ბ-ნი ვახტანგ კახიძე:

— პირველ რიგში, მინდა სულით და გულით მივულოცო ისრაელს და ებრაელ ხალხს ეს დღე. ეს არის უახლოესი ქვეყანა ჩვენთვის არამარტო 26 საუკუნოვანი წარსულით, არამედ რეალურად, თავისუფალი საქართველოს პირობებში ეს ერთ-ერთი პირველი ქვეყანა იყო, რომელიც ძმურად დაგვიდგა გვერდში. მიზეზი არ არის მხოლოდ ის, რომ საქართველოდან ბევრი ებრაელი წასული, ამის მიზეზია ზოგადად ამ ხალხის დამოკიდებულება ადამიანობისადმი, თავისუფლებისადმი.

ჯემალ აჯიაშვილი — რუსთაველის პრემიის ლაურეატი



საქართველოს პრეზიდენტთან არსებული ხელოვნებისა და მეცნიერების დარგებში შოთა რუსთაველის სახელობისა და საქართველოს ეროვნული პრემიების კომისიის გადაწყვეტილების შესაბამისად, შოთა რუსთაველის სახელობის პრემიის ლაურეატის ნოდება მიენიჭა:

პოეტსა და მთარგმნელს

ჯემალ (სიმონ) აჯიაშვილს

— თარგმნილი და ორიგინალური საუკეთესო პოეტური ნიმუშებისთვის; გამორჩეული საზოგადოებრივი და ლიტერატურული მოღვაწეობისთვის; ქართულ-ებრაული ურთიერთობის განვითარებაში შეტანილი უმნიშვნელოვანესი წვლილისათვის (გარდაცვალების შემდეგ).

საქართველოს პრეზიდენტთან არსებული ხელოვნებისა და მეცნიერების დარგებში შოთა რუსთაველის სახელობისა და საქართველოს ეროვნული პრემიების კომისიის გადაწყვეტილების შესაბამისად, შოთა რუსთაველის სახელობის პრემიის ლაურეატის ნოდება მიენიჭა:

„მენორას“ 20 წლისთავს ულოცავენ...

წარმატებებს ბისურვებთ!

„მენორას“ 20 წლის იუბილესთან დაკავშირებით, ნება მომეცით, ამ უაღრესად მნიშვნელოვან გაზეთს მივულოცო და ჩემი პატივისცემა გამოვხატო იმ ხანგრძლივი წვლილისთვის, რომელიც მას ორი ერის დაახლოების საქმეში აქვს განუწეული. ებრაელი ერი 2600 წელიწადზე მეტია, ქართული საზოგადოების განუყოფელი, გამორჩეული და ღია ნაწილია. ისრაელმა და საქართველომ 1 ივნისს დიპლომატიური ურთიერთობის დამყარების 21-ე იუბილე იხეიმა, ასევე აღინიშნა ისრაელის 65-ე და საქართველოს 22-ე დამოუკიდებლობის დღეები. ჩვენ ხანგრძლივი ისტორია გვაკავშირებს და მომავალი პარტნიორობა ერთობლივი ძალისხმევით უნდა ვაშენოთ.

იუმალ ფუქსი

ისრაელის სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში

შოთა ბოსტანაშვილი 1948 - 2013

შოთა ბოსტანაშვილი დაიბადა 1948 წლის 13 მაისს ქ.თბილისში. 1972 წელს დაამთავრა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი არქიტექტურის სპეციალობით. საპროექტო ორგანიზაციაში მიღებული პრაქტიკული გამოცდილების შემდეგ, 1978 წლიდან დაიწყო პედაგოგიური მოღვაწეობა და თითქმის ოთხი ათეული წელი უანგაროდ, უშურველად მიუძღვნა ქართულ არქიტექტურას, ახალგაზრდა არქიტექტორთა აღზრდას. 1990 წელს დააარსა სტუდია-სახელოსნო და საგანი „არქიტექტურული პოეტიკა“. სტუდიაში მიღებულმა სრულიად არაორდინალურმა ცოდნამ კომპოზიციაში, კოლორისტიკაში, ზოგადესთეტიკურ საკითხებში, მნიშვნელოვანი კვალი დაამჩნია ახალგაზრდების მხატვრულ აღზრდაში.

შოთა გახლდათ ფართო ერუდიციის პიროვნება, რომლის ინტერესების სფეროში არქიტექტურის გარდა, მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს პოეზიას, ლიტერატურას, რელიგიას, ესთეტიკას. მის ინტერესებში მოექცა ასევე კულტურული მემკვიდრეობის პრობლემატიკა, რასაც მიუძღვნა სოლიდური, ორიგინალური ნაშრომი. გამოცემული აქვს პოეტური კრებული „ოთხი ლაპარაკი“. მისი ნიგნი „ბუცა“ 2012 წელს დაჯილდოვდა არქიტექტურითა საერთაშორისო ტრიენალეს ვერცხლის მედლით. ყოველივე ამის მიღმა იყო დიდი შრომა, გულმოდგინება,

ძიება, მძაფრი ემოციები. ეს იყო ზეიმი ნიჭის, ფანტაზიის, განათლების, პროფესიონალიზმის.

შოთა ბოსტანაშვილი მრავალი არქიტექტურული პროექტის და რეალიზაციის ავტორია. მათ შორის აღსანიშნავია: ხევსურეთის სოფლები ხახმატი და ბისო; კულტურის სასახლე ქ. ფოთში, ბავშვთა ქალაქი მალთაყვის ტყე-პარკში, „იერუსალიმის სახლი“ ქ.თბილისში, თონეთის მოედანზე; „ხსოვნის ტაძარი“ სოფ. მუხრანთან; „ხსოვნის კუბი“ ქ. სენაკში; მემორიალი „დიდება შრომას“ ქ. ქუთაისში; ონის სინაგოგის რესტავრაცია; ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლები საქართველოს სხვადასხვა ქალაქებში; სასტუმრო „მარდენი“ ძველ თბილისში; „პოეზიის სასახლე“ ქ.თბილისში და სხვა. პრემირებულია მისი არაერთი საკონკურსო პროექტი: მარჯანიშვილის თეატრი, საერთაშორისო კონკურსი „XXI საუკუნის ცივილიზაციის სივრცე“ (ვენეცია); საზოგადოებრივი ცენტრი რუსთაველის პროსპექტზე, წმინდა სამების საკათედრო ტაძარი, „9 აპრილის მსხვერპლთა მემორიალი“ და სხვა. მკვეთრად იცავდა თავისი ინდივიდუალური შემოქმედების საზღვრებს, ყველგან და ყოველთვის იმსახურებდა მაღალ მეფასებას.

და მაინც, როგორი იყო შოთა ბოსტანაშვილი? ზოგისათვის - სიკეთით სავსე, მუდამ ჩაფიქრებული, ერთთავად საქმით დაკავებული. სხვებისათვის - არაორდინალური, თავისთავადი და ფანატიკოსი მოღვაწე. ყველას საკუთარი წარმოდგენა შეიძლება ჰქონდეს, მაგრამ ერთი ცხადია: იყო ადამიანი, რომელიც მაღალდა ტკივილს, მაღალდა პრობლემებს, გულუხვად გასცემდა სიყვარულს იმ ადამიანების მიმართ, ვისთანაც მეგობრობდა, ეს წრე კი საკმაოდ მრავალფეროვანი იყო. არ აკლდა ჯილდოები, დაფასება: იყო არქიტექტორთა საერთაშორისო აკადემიის წევრი, სახელმწიფო და საერთაშორისო პრემიების ლაურეატი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სრული პროფესორი, ღირსების ორდენის კავალერი.

მისი სიკვდილი დასასრულია ამქვეყნიური ცხოვრებისა და დასაწყისი ახალი სამარადისო სიცოცხლისა.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის პროფესორები: ბორჩა მიძინაშვილი, ვახტანგ დავითაია, ელენე კალანდიაძე, ნინო იმნაძე, გიული გიგაია, თამარი გომოლაშვილი, ზურაბ სუჯაშვილი, ნანული თიფთაია, ლევან პარიძე, ალექს კორკოტაშვილი, გიორგი მილაშვილი, პავლე ძინიაშვილი, თამარ ჭანტურია, ნიკა შავიშვილი, გიი შანიშვილი



International Scientific Conference "Space, Society, Politics" dedicated to the 70th birthday anniversary of Professor Revaz Gachechiladze Ivane Javakhishvili Tbilisi State University 3-5 June, 2013

and presentation of his new book "Georgia in the World Context" on June 3, at 17:00 TSU Event Hall

გამორჩენილ მეცნიერს, საქართველოს ყოფილ საგანგებო და სრულუფლებიან ელჩს ისრაელში ბატონ რევაზ გაჩეჩილაძეს

ბატონო რევაზ, ღრმა პატივისცემის გრძნობით გილოცავთ დაბადებიდან 60 წლისთავს. გისურვებთ შემოქმედებით წარმატებებს, წინსვლას და აღმაშენებლობას იმ მამულიშვილურ საქმიანობაში, რომელსაც თქვენ უკვე ათწლეულების მანძილზე უნაგაროდ ემსახურებით. თქვენს ნაყოფიერ და ხალასს ნიჭს კვლავ შეექმნას რიგი საინტერესო მეცნიერული ნაშრომებისა.

ისრაელ-საქართველოს ურთიერთობაში, ნიჭიერებით აღსავსე თქვენი ბრძნული დიპლომატიური ქმედება წარმოისახება იმ მტკიცე და მყარ ხიდად, რომელზეც ამაყად ივლიან ქართველი და ებრაელი ხალხების მომავალი თაობები.

ბატონო რევაზ, პატივი და დიდება თქვენ, რომ ბოდა იმჟამინდელი პარტიულ-სახელმწიფოებრივი ელიტისაგან. იგი ყველაზე მაღალ თანამდებობებზეც კი რჩებოდა სულით ხორცამდე ინტელიგენტად, კეთილმოსურნე მოსაუბრედ, მომთხოვნ, მაგრამ სამართლიან ხელმძღვანელად, რომელიც მუდამ იცავდა და უფრთხილდებოდა თავის ირგვლივ მყოფთა ადამიანურ ღირსებას. ესეც სანთლით საძებარი რამ გახლდათ იმხანად.

ჩემთვის და ისრაელში საქართველოდან ამოსული ბევრი ქართველი ებრაელისათვის, ვინც კი რევაზ გაჩეჩილაძეს იცნობდა, დიდად სასიხარულო სიურპრიზი გახლდათ, რომ სწორედ იგი დაინიშნა საქართველოს პირველ ელჩად ისრაელში და, თუ არ ვცდები, ექვსი წლის განმავლობაში დიდებულად ასრულებდა ამ საპასუხისმგებლო მოვალეობას. ეს იყო წლები ჩვენი ქვეყნებისა და ხალხების შემდგომი დაახლოებისა, ურთიერთობათა გაცხოველები-სა. განსაკუთრებით აღსანიშნავია ის საოცრად თბილი, ლამის ოჯახური კავშირი, რომელიც მას ჰქონდა მრავალ ჩვენგანთან. ჩვენც სიყვარულით ვუპასუხებდით და დიდად ვგულშემატივრობდით მასაც და მისი ოჯახის წევრთა წარმატებებსაც. რაკი ოჯახი ვახსენეთ, უეჭველად უნდა აღინიშნოს ბატონი რევაზის მეუღლის, ქალბატონი მზიას, ლომის წილი მის წარმატებაში საერთო თანადგომით-

ხართ მოსილი მაღალადამიანური და კაცური კაცის სრულქმნილებით. თქვენი შინაგანი სამყარო ჩვენს ცნობიერებაში ასახულია ქართველი და ებრაელი ხალხების მშვენებად და ამაღ თითოეული ჩვენგანი მადლიერების გრძნობით გმოსავს. შენ ისეთი მოსავალი მოიწიე, ისეთი ოქროს ზოდები დაახვავე ისრაელ-საქართველოს მეგობრული ურთიერთობის განმტკიცებას, რომ ამაყად შეგიძლია გაუსწორო თვალი წარსულსაც და მომავალსაც.

სიკეთე და სიხარული არ მოგკლებოდათ არასოდეს არც შენ და არც შენს დიდებულ ოჯახს, სულ წინსვლით და წარმატებით გატაროს უზენაესის ყოვლისმომცველმა ნათელმა.

თქვენი შალომ დავიდი

ალბათ, ცოტა ძნელი დასაჯერებელია, რომ მუდამ საქმიან, ახლის ძიებით აღსავსე მეცნიერსა და მოღვაწეს პროფესორ რევაზ გაჩეჩილაძეს სამოცდაათი წელი შეუსრულდა, მაგრამ, როგორც იტყვიან, ფაქტს ვერსად გავუქცევით. ეს ასეა და მეც მიწადა სულითა და გულით მივულოცო ჩემს საამაყო მეგობარს (იმედი მაქვს, რომ ზედმეტ სითამამედ არ ჩამითვლის), გეოპოლიტიკის დიდებულ სპეციალისტს, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტს, უცხოეთის რიგი უმაღლესი სასწავლებლის, მათ შორის, კემბრიჯის უნივერსიტეტის, მინვეულ პროფესორს, ცნობილ პოლიტიკოსსა და დიპლომატს, არაჩვეულებრივ მეუღლესა და მამას ბატონ რევაზ გაჩეჩილაძეს სახელოვანი იუბილე.

ბედნიერება მქონდა თბილისის უნივერსიტეტში ერთად მუშაობის წლებში ხშირი შეხვედრების დროს თვალი მედევენებინა რევაზ გაჩეჩილაძის მოღვაწეობისათვის და ყოველთვის მხიბლავდა მისი თავდაჭერა და სიმშვიდე ყველაზე რთულ სიტუაციებშიც კი, საოცარი ტაქტი ადამიანებთან ურთიერთობაში, რითაც იგი აშკარად განსხვავდებ-

მეცნიერის, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის, თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახ. უნივერსიტეტის სრული პროფესორისა და დიპლომატის რევაზ გაჩეჩილაძის საიუბილეო საღამო ხსენებული უნივერსიტეტის სააქტო დარბაზში ჩინებულად ჩატარდა. საღამოზე სტუმრები მინვეული გახლდნენ რ. გაჩეჩილაძის ახალი წიგნის „საქართველო მსოფლიო კონტექსტში“ პრეზენტაციაზე, მაგრამ გამომსვლელნი არა მხოლოდ მეცნიერის ახალ წიგნზე, მისი ავტორის დიდებულ სამეცნიერო გზაზე ლაპარაკობდნენ. ასე აღინიშნა მეცნიერის იუბილე სახელმწიფო უნივერსიტეტში, რომელსაც წინ უძღოდა მეცნიერის დაბადების 70 წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „სივრცე, საზოგადოება, პოლიტიკა“.

საღამოზე კი ბ.ნ. გაჩეჩილაძეს პირველი მიესალმა და საიუბილეო თარიღი მიულოცა უნივერსიტეტის რექტორმა ალექსანდრე კვიციანიძემ. ახალი წიგნის თავისებურებებზე, მეცნიერის მიერ განვლილ გზაზე ვრცლად ისაუბრა საქართველოს საგარეო საქმეთა ექსმინისტრმა ირაკლი მინაღარიშვილმა. რ. გაჩეჩილაძეს საიუბილეო თარიღი მიულოცეს პროფესორებმა: ალექსანდრე რონდელია, ლადო პაპავამ, მოსკოვიდან ჩამოსულმა პროფესორებმა: ალექსანდრე ალექსანდრევი და ოლგა გლიზარა, ვაშინგტონის კოლოკოსტის მუზეუმის კონსულტანტმა პაველ ილინმა, პროფესორმა გორა ჯაფარიძემ, სტუდენტმა ლევან ლორთქიფანიძემ, მწერალმა და დრამატურგმა გურამ ბატიანიშვილმა.

რუხან ენოსი

წიგნი ფესახის აბაღის შესახებ

10-11 მაისს ქუთაისში გაიმართა სამეცნიერო კონფერენცია „ენა და კულტურა“, რომელიც ეძღვნებოდა საქართველოს ეროვნული განძის სამშობლოში დაბრუნებიდან 75-ე წლისთავსა და საქართველოს მეჭურჭლეთუხუცესის, ექვთიმე თავაძის იუბილის ნათელ ხსოვნას. კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობდა არიელის (ისრაელი) უნივერსიტეტის პროფესორი, კავკასიისა და ცენტრალური აზიის ებრაული თემების კვლევის ინსტიტუტის დირექტორი, ბატონი რეუვენ ენოხი, რომელიც ისრაელში წასვლამდე მოღვაწეობდა ივანე ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. გზებით „მენორა“ ბატონ რუხენს აღნიშნული კონფერენციისა და სამომავლო გეგმების შესახებ ესაუბრა.

- ბ.ნ. რუხენ, საქართველოში სამეცნიერო კონფერენციაზე ჩამობრძანდით?

- დიახ, ქუთაისში, ჩემს მშობლიურ ქალაქში, ჩატარდა კონფერენცია სახელწოდებით „ენა და კულტურა“, რომელიც შეიძლება ითქვას, უკვე ტრადიციული გახდა. ამჯერად მეორედ ჩატარდა და უკვე დაიგეგმა მესამედაც. კონფერენციაზე ჩამოსული იყო ფართო წარმომადგენლობა სხვადასხვა ქვეყნიდან. მრავალფეროვანი იყო თავად მოხსენებთა თემები. მოხიბლული დავრჩი მაღალი მეცნიერული დონითა და დიდებული ორგანიზაციით, რისთვისაც მადლობა უნდა მოვასხენოთ კონფერენციის სულსჩამდგმელს,

პროფესორ მანანა მიქაძეს. დიდი მადლობა ასევე ქუთაისის მაჟორიტარ დეპუტატს, გუბაზ სანიკიძეს, რომელიც გახლდათ კონფერენციის ერთ-ერთი აქტიური მონაწილე და ასევე საქართველოს პარლამენტის ვიცე-სპიკერს, ქალბატონ მანანა კობახიძეს, რომელსაც კონფერენციის პლენარული სხდომა ერთი წუთითაც არ დაუტოვებია, რაც იმეიათია, რადგან, როგორც წესი, ხელისუფლების წარმომადგენლები ესწრებიან მხოლოდ გახსნის ცერემონიას.

- რა მოხსენებით წარსდევით სამეცნიერო კონფერენციაზე?

- მე წავიკითხე მოხსენება, რომელიც ეხება კავშირს იმერულ დიალექტსა და ქუთაისის ქართველ ებრაელთა მეტყველებას, ანუ, სხვაგვარად რომ ვთქვათ, ქართველ ებრაელთა ცხოვრება და მეტყველება სოციოლინგვისტურ ასპექტში. მოხსენებაში ვისაუბრე ქართველ ებრაელთა მეტყველების შესწავლაზე, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს ქართული ენის ისტორიისა და დიალექტოლოგიის კვლევისთვის.

- პირველ კონფერენციაში თუ მონაწილეობდით?

- არა, პირველ კონფერენციაში ვერ ვმონაწილეობდი დატვირთული სალექციო განრიგის გამო. ამჯერად მოხერხდა ლექციების გადადება.

- როდისთვის დაიგეგმა მესამე კონფერენცია?

- დაახლოებით ერთი წლის შემდეგ და ის მიეძ-

ღვნება ცნობილი კინორეჟისორის, რეზო ჩხეიძის შემოქმედებას.

- როგორც ცნობილია, თქვენი უნივერსიტეტის ჟურნალი ამზადებს სპეციალურ ნომერს მიძღვნილს ქართული მწერლობისადმი, ესაა პროზა, პოეზია, დრამატურგია. როდის უნდა ველოდეთ ამ ნომერს?

- ვადების განსაზღვრა არც ისე ადვილია. ქართულიდან თარგმნაც ძალიან რთულია და საბოლოოდ, ამ საქმის წინაშე აღმოვჩნდი მხოლოდ მე. პოეტური ნაწარმოებები, რომლებიც ამ ნომერისათვის იყო შერჩეული, უკვე ითარგმნა. ერთია თარგმნო ლექსი და სხვაა თარგმნო პიესა. ასევე პროზაული ნაწარმოებების თარგმანი მოითხოვს ძალიან დიდ დროს. ჩემი დატვირთული რეჟიმის გამო მიჭირს პროგნოზირება, რა დროისთვის იქნება ნომერი მზად.

- გამოვიდა თქვენი წიგნი თავისილი თაობაზე, რას უმზადებთ ახალს მკითხველს?

- იმედი მაქვს, რომ ძალიან მოკლე დროში გამოვა წიგნი ფესახის აბაღის შესახებ. ეს არის ტრადიციული თარგმანი, ქართველ ებრაელთა მიერ შესრულებული. არსებობს მისი რამდენიმე ზეპირი რედაქცია. სწორედ ამ ზეპირი რედაქციების ტექსტს გამოვცემ თავის შესაბამისი ანალიზითურთ.

- გისურვებთ წარმატებას.

ესაუბრა თამარ აბუსაძე

ივნისი (თამუზი) №6, 2013 წ.

რას ვკითხვართ უკრაინაში?
რუბრიკას უძღვება საქართველოს მთავარი რაბინი
აბიშაი ბათაშვილი



წითური ძროხის ფარაშა

ჩვენს ფარაშაში თორა გვიბრძანებს
„შესრულეულ იქნას ფარა ადუმას“ („წითური ძროხის“) მიცვა, რაც იმაში გამოიხატება, რომ ქოპენებმა უნდა აიყვანონ ძროხა, უხადო, რომელსაც მანგი არ გააჩნია, უღელი არ დგამა და არაფერი საბუშო არ შეუსრულდება. დასწვან ის და მისი ფერფლი სიცოცხლის წყაროში გაურთონ. ხოლო იმ შემთხვევაში, თუ ადამიანი უწმინდურად იქცა, აპკურთ მას ეს წყალი და ამის შედეგად დაიწყება მისი განწმენდა. ეს მიცვა სრულიად წვეკონებრივი მიცვის სიმბოლოდ და მაგალითად ითვლება.

რამეთუ განა ვინმე რაიმე ლოგიკას ხედავს ბრძანებაში - აიყვანონ ძროხა, თანაც წითური, დასწვან ცეცხლში და მისი ფერფლიდან წარაცნონ მკვდრით გაუწმინდურებულთ, რათა თავიანთი უწმინდურობიდან განწმინდონ ისინი?

ამ მიცვაში გარკვეული შინაგანი შეუსაბამობებიც არსებობს: უწმინდური გაწმენდილ იქნენ ძროხის ფერფლის საშუალებით, წმინდანნი კი, რომლებმაც დასწვეს ის და მისი ფერფლი გამოიყენეს, გაუწმინდურდნენ. როგორ შეიძლება, რომ ერთის მხრივ, ძროხა განწმენდეს და მეორეს მხრივ აუწმინდურებდეს?

მდრამაში მოგვითხრობს, რომ ადამიანთა შორის ყველაზე ბრძანება უღმერთო პაპელენმა (სოლომონ მეფემ) სცადა ღრმად ჩასწვლოდა მიცვების ფესვებს, და თქვა: „ყოველივე ეს გამოცვადა მე სიბრძნით, წითური ძროხის ფარაშა - გამოვიკვლიე, გამოვჩინე, ვთქვი დავბრძენდი, ის კი შორსაა ჩემგან“. რამეთუ „წითური ძროხის“ მიცვა ყოველგვარ გონებასა და ყოველგვარ ლოგიკას

აღემატება.
თუმცა არ შეიძლება ამ მიცვის მნიშვნელობის გაგება, მაგრამ შეიძლება იმის გაგება თუ რატომ მაინცა და მაინც ეს მიცვა და არა სხვა აღემატება ადამიანის გონების გაგებას?

წითური ძროხის მიცვა მკვდრის უწმინდურებისგან ადამიანის განსაწმენდადაა გამიზნული. უწმინდურება სიწმინდის სრულიად საწინააღმდეგოს გამოხატავს და ის „უწმინდურების სათავეა“. სიწმინდის არსი სიცოცხლისუნარიანობაა: „და თქვენ, მიკრულნი თქვენს უფალ ღმერთს - იცოცხლებთ“. მკვდარი სიცოცხლის დაკარგვას და სიწმინდის ყოველგვარ საგითხებთან კავშირის გაწყვეტას გამოიხატავს.

მკვდრის უწმინდურების სერიოზულობამ გამოიწვია ის, რომ თვით მოშე რაბენუსაც „მოელუმს სახე“, როდესაც უწმინდურების საგითხე ფიქრობდა (მდრამაში მოთხრობილის თანახმად) და გაკვირვებით იკითხა: „რითი იქნება მისი განწმენდა?!“ კურთხეული უფალი პასუხობს მას, რომ წითური ძროხის ფერფლს ძალა შესწვეს თვით უწმინდური მკვდარიც რომ განწმინდოს.

წითური ძროხის მიცვის შინაგანი არსი - უფლის უხეიანი ნათების თვით კურთხეული უფლისგან მიღებას წარმოადგენს, რომელიც ყოველგვარი შეხედულობის მაღლაა და რომელსაც ყველაზე საშინელი უწმინდურების განწმენდის ძალაც შესწვეს. თუმცა სახელებისა და წესების მიხედვით, რომლებიც კურთხეულმა უფალმა თავის სამყაროში დაადგინა, არ შეიძლება მკვდრის უწმინდურებისგან განწმენდა, მაგრამ თვით კურთხეული უფალი ხომ ამ სახელებითა და წესებით არ არის შეხედული, და ამიტომ მას ამ უწმინდურების მოცილების ძალაც შესწვეს.

თვით კურთხეული უფლის შეხედულება სიწმინდის გამომჟღავნების გზა წითური ძროხის მიცვის საშუალებით ხდება. ის ფაქტი, რომ ის ზეგონებრივია, მხოლოდ ამტკიცებს იმას, რომ აქ ყველაზე შესანიშნავი დგომარეობა სიწმინდეა, რაც ყოველგვარ გონებასა და ლოგიკას აღემატება.

მკვდრის უწმინდურებისგან რომ განწმინდოს, ადამიანს საკუთარ გონებასა და ცნობიერებაზე მაღლა აღწევება და თვით კურთხეული უფლის წინაშე საკუთარი თავის სრულიად უგულვებელ ყოფა ესაჭიროება.

წითური ძროხის მიცვაში ისრაელის სიყვარულის კანონების შესანიშნავი მაგალითია გატარებული: მეორე ებრაელი მკვდრის უწმინდურობისგან რომ განწმინდოს, სხვა ებრაელებს ძროხა უნდა დაეწვათ და ა.შ. და ამით გაუწმინდურებულიც ვინ. ასეთი მიდგომა ყოველთვის არ ემთხვევა გონებასა და ლოგიკას: მე რატომ უნდა გავუწმინდურდე, რათა სხვა განწმინდოს? მაგრამ როდესაც ებრაელი ასე იქცევა, ზეგონებრივად და ზედლოგიკურად, ის თვით კურთხეულ უფალთან კავშირის დირსი ხდება.

ხანდახან ვხვდებით ებრაელს, რომელიც ისეთ სულიერ დონემდე დაქვეითდა, რომ ისე ჩანდა, თითქოს „ცოცხლებში არ ეწერა“ (უწმინდური მკვდარი იყო). ჩვენს მოვალეობას წარმოადგენს მის დონემდე „დავქვეითდე“, მოვიახლოვოთ, და ასე ჩვენც კურთხეულ უფალთან და თორასთან დაკავშირებას ვეღონებთ.

პირადი ზედამხედველობით ამ კვირას რაბი ლიუბავიჩელის ჰილულის (საზეიმოდ მოხსენიების) დღეა, რომელმაც მთელი თავისი სიცოცხლე ამ მნიშვნელოვან მიზანს მიუძღვნა, რათა მრავალი ებრაელის გული ჩვენს ზეციურ მამასთან დაეახლოებინა. მან რაბინები დაგზავნა მსოფლიოს ყველა კუთხეში, რომლებმაც საკუთარი კომფორტული მდგომარეობა დათმეს, რათა ებრაელები ლოცვას ან მიცვაებზე დაემაღლიერებინათ, განსაწმენდი მიკვები აეგოთ და ა. შ. ამ გზავნილებით რაბიმ ასწავლა, რომ მეორე ებრაელისთვის ადამიანს საკუთარი სიმყუდროვე და კომფორტი უნდა დაეთმო, რათა კიდევ ერთი კეთილი საქმე და წყალობა მოემქმედებინა, რომ იქნებ ამის წყალობით სრული გულისა და მამიანის სულ ახლო მომავალში მობრძანების დირსი გავმხდარიყავით.

არასასიამოვნო ინფორმაცია
ისრაელის დამოუკიდებლობისთვის ომებში დაღუპულთა ხსოვნის დღეს, 11:00 საათზე, როდესაც მთელ ისრაელში ორწუთიანი სირენის ხმა გაისმა, ულტრაორთოდოქსალური, ანტისიონისტური მოძრაობის „ნატურეი კართას“ აქტივისტებმა იერუსალიმის კვარტალ მეა შეარი-მში საპროტესტო მსვლელობა მოაწყვეს. როგორც NEWSru.co.il იუწყება, საპროტესტო მსვლელობის მონაწილეები იმ წუთებში, როდესაც ებრაული სახელმწიფო მოქალაქეები გამყინავ სირენის ხმას ისმენდნენ ომებში და ტერორისტულ აქტებში დაღუპულების სახსოვრად, დემონსტრანტები ქუჩაში პლაკატებით გამოვიდნენ. პლაკატებზე ეწერა: „იუდაიზმი და სიონიზმი დიამეტრალურად სანინააღმდეგოა“, „ჩვენ გვაქვს გლოვა ისრაელის დამოუკიდებლობის 65 წლისთავთან დაკავშირებით“, „ებრაელი ერი 65 წელია გამოთქვამს წუხილს — მას შემდეგ, რაც შექმნეს სიონისტური სახელმწიფო“ და ა.შ. აღსანიშნავია, რომ „ნატურეი კართას“ აქტივისტები თითქმის ყოველ წელს — დამოუკიდებლობის დღეს, ან ლაგ ბაომერის დღესასწაულზე აწყობენ პროვოკაციულ ქმედებებს — ისინი წვავენ ისრაელის დროშებს, მაგრამ პროვოკაცია ამ წლის ხსოვნის დღეს, განსაკუთრებით გამომწვევი იყო. პოლიცია დემონსტრანტების ქმედებებში არ ჩაერია.

ჩვენის მემკვიდრე სეფარდი ებრაელი აღმოჩნდა

ვენესუელის კომენდანტის უგო ჩავესის მემკვიდრე, მოქმედი პრეზიდენტი ნიკოლას მადურო, სეფარდი ებრაელი აღმოჩნდა. ეს მოულოდნელი აღიარება ვენესუელის პრეზიდენტმა თავად გააკეთა, მან პრესასთან ბოდიში მოიხადა ანტისემიტური ხასიათის მთავრობისა და პოლიტიკის გამო.

როგორც ნიკოლას მადურომ განაცხადა, მისი ბებია და ბაბუა ებრაელები იყვნენ, ვენესუელაში გადასახლების შემდეგ ისინი გადავიდნენ კათოლიციზმზე, ისევე როგორც მრავალი სხვა კონფესიის წარმომადგენელი.

ნიკოლას მადურო, მოროსი (დაიბადა 23 ნოემბერს 1962 წელს კარაკასში) ვენესუელის სახელმწიფოს პოლიტიკოსი და ახლანდელი პრეზიდენტი. 2006-2013 წლებში ეკავა ვენესუელის საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტი. 2012 წლის ოქტომბერში გახდა ვენესუელის ვიცე-პრეზიდენტი, ასევე იწარჩუნა ვენესუელის საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტი. 2013 წლის 5 მარტიდან 14 აპრილამდე, უგო ჩავესის სიკვდილის შემდეგ, ასრულებს ვენესუელის პრეზიდენტის მოვალეობას.

ნიკოლას მადურომ ასევე აღნიშნა, რომ ვენესუელის ხელისუფლებაში საჯარო სამსახურის ბევრ მოხელეს აქვს ებრაული წარმომავლობა. მაგალითად მას მოჰყავს ერნესტო ვილევასა, რომლის დედა ასევე ებრაელია.

სახელმწიფო მეთაურის ეს განცხადებები კატეგორიულად უარყო კლაუდიო ეპელმანმა — ლათინური ამერიკის კონგრესის ებრაელთა აღმასრულებელმა დირექტორმა, რომელმაც ვენესუელის ხელისუფლებას ბრალი დასდო ანტისემიტულობაში.

„მე ძალიან ვწუხვარ კლაუდიო ეპელმანის განცხადებების გამო, იგი აცხადებს, რომ ვენესუელას აქვს ანტისემიტური პოლიტიკა და ამაში გვადანაშაულებს მე და უგო ჩავესი. თუ მას ასე სურს, შეუძლია დამადანაშაულოს მე, მაგრამ მან თავი უნდა დაანებოს უგო ჩავესს“, - განაცხადა ნიკოლას მადურომ.

ამავდროულად, სტატისტიკის თანახმად, ებრაელებმა აქტიურად დატოვეს ვენესუელა, მას შემდეგ რაც უგო ჩავესი მოვიდა ხელისუფლებაში. ამას ხელს უწყობდა მთელი რიგი ფაქტორები, ქვეყნის ეკონომიკური არასტაბილურობა, მკვეთრი ზრდა დანაშაულისა და ძალადობის, პოლიციელების თარეში და ხშირი თავდასხმები ებრაულ დაწესებულებებზე. ამ ეტაპზე ებრაული დიასპორა ვენესუელაში დაახლოებით 9,000 ადამიანია, ხოლო 1999 წელს ეს რიცხვი 22,000 ადამიანს აჭარბებდა.

ნიკოლას მადურომ აღიარა, რომ ვენესუელას აქვს გარკვეული უთანხმოებები ისრაელის ხელისუფლებასთან. კერძოდ ეს ეხება სირიის კრიზისის გადაჭრის გზებს. სახელმწიფო მეთაურმა გააკრიტიკა ისრაელის საჰაერო იერიში სირიაზე და გამოთქვა უკმაყოფილება ადგილობრივი ხელისუფლების პოლიტიკისადმი. პალესტინელების მიმართ, ასევე დაგმო ბლოკადა ლაზას სექტორში. მიუხედავად ამისა, „რეპრესიული პოლიტიკის წინააღმდეგ ისრაელის ბრძოლა“ ვენესუელის ლიდერის სიტყვებით, არავითარ შემთხვევაში არ ნიშნავს კრიტიკას „კეთილშობილი ებრაელი ხალხისა“.


„თუ არის ერი, რომელსაც აქვს მდიდარი სოციალისტური ტრადიცია, ეს არის ებრაელი ხალხი, ჩვენ პატივს ვცემთ მათ ისტორიას“, - განაცხადა ნიკოლას მადურომ.

რუბრიკას უძღვება პროფესორი ავთანდილ ნიკოლეიშვილი

ეზიური თემა ქართულ მწიგნობარში

ეზიური თემა XIX საუკუნის ეზიური ნახევრისა და XX საუკუნის დასაწყისის ქართულ ლიტერატურაში

(წერილი მიცემილი)



XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან ეზიური თემით ქართველ მწერალთა დაინტერესება იმდენად ფართო მასშტაბების მომცველი მოვლენა ხდება, რომ აღნიშნულმა თემამ ამ დროს მოღვაწე ბევრი მწერლის შემოქმედებაში დაიმკვიდრა საზღვრისაღმარებელი ადგილი. ამ თვალსაზრისით უაღრესად მნიშვნელოვანია მათი როგორც მხატვრული ნაწარმოებები, ისე პუბლიცისტური წერილები, რომლებიც აშკარად და შეუნიღბავად გამოხატავენ ხაზგასმულად კეთილგანწყობილ დამოკიდებულებას ეზიურ თემის მიმართ.

საანალიზო პერიოდის ჩვენს მწერლობაში ეზიურ თემამ ძირითადად ორი უმთავრესი მიმართულებით პოვა გამოვლინება – ეზიური ხალხის უძველეს ისტორიულ წარსულთან დაკავშირებული ბიბლიური ეპიზოდების მხატვრული ხორცშესხმითა და ქართველ ეზიურ თანადროული ყოფითი პრობლემების წარმოსახვის მცდელობით.

ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით საინტერესოა ეგვიპტელთა მონობისაგან ეზიურ თემის განმათავისუფლებელი ლეგენდარული გმირის განსაზღვრულად დაწერილი პოემა თედო რაზიკაშვილისა (1869-1912 წწ.) „მოსეს სიკვდილი“. პოეტის შეფასებით, მოსე „ისრაელთ სჯულის მდებელი“ ის ადამიანი იყო, რომელმაც წარმატებით მოიხადა თავისი ამქვეყნიური ვალი.

ეზიური ხალხის ამ ლეგენდარული წინამძღოლის მამულიშვილოური ღვაწლის განდიდებათ თ. რაზიკაშვილმა ეროვნული თავისუფლებისათვის თავგანწირვით მებრძოლი გმირის იდეალიზებული სახეც შექმნა. ერთადერთი სიმდიდრე, რომელიც დევნილობაში სიცოცხლელარსებულ ამ ლეგენდარულ პიროვნებას ჰქონდა, პოეტის თქმით, მხოლოდლა „ღვთის სიტყვა და მალღობით მოსილი გონება“ იყო.

ეზიური ხალხის ბიბლიური ისტორიის ამსახველ მხატვრულ ნაწარმოებებში, ეროვნულ პრობლემათა წინა პლანზე წამოწევი, მათი ავტორები არაპირდაპირი გზით საქართველოში არსებულ ვითარებასაც წარმოსახავდნენ, რითაც ქართველი ერის პატრიოტული თვითმეგნების კიდევ უფრო მეტად განმტკიცებასაც ისახავდნენ მიზნად. ეს რომ ნამდვილად ასეა, ამის დასტურად მრავალი კონკრეტული მაგალითის მოტანა შეიძლება XIX საუკუნის მეორე ნახევრისა და XX საუკუნის დასაწყისის ქართველ მწერალთა შემოქმედებიდან.

არ გადავაჭარბებთ, თუ ვიტყვით, რომ ეზიური ხალხის ეს უდიდესი და მარად დაუცხრომელი ეროვნული ტკივილი ქართველებზე უფრო დიდი ადამიანური თანაგრძობითა და ჭირმოზიარეობით იშვიათად თუ გამოუხატავს ვინმეს. ასე რომ, საკუთარი სამშობლოს დაქცევა-გაპარტახების გამო საუკუნეთა მანძილზე მხარედ აგოდებული ეზიურების ცრემლთა უწყვეტ ნაკადს ქართველი კაცის თვალთაგან დანადგები თანადგომის ცრემლიც მატებდა ძალასა და ხშიერებას.

ნათქვამის დასტურად აქ იროდიონ ევდოშვილის (1873-1916 წწ.) შემოქმედების გახსენებაც იქნება საკმარისი. მაგალითად, 1915 წელს გაზეთ „სახალხო ფურცლის“ სურათებიანი დამატების 42-ე ნომერში დაბეჭდილ ლექსში „ტირილი ეზიური-სა“ პოეტმა ეზიური ხალხის ტრაგიკული ისტორიის უმთავრესი მომენტების გახსენებით მკითხველი კიდევ ერთხელ გახადა იმ დიდი ეროვნული ტკივილის თანამონაწილე, რომელიც ყველა დროისა და ეპოქის ეზიურებისათვის მარადიული გლოვისა და წუხილის საგნადაა ქცეული. ი.

ევდოშვილის ლექსის ემოციურ სიმძაფრესა და გულწრფელობას კიდევ უფრო ზრდის ის გარემოება, რომ ეზიური ხალხის ეს დიდი ეროვნული ტკივილი ნაწარმოებში თავად ეზიურთა მიერაა მოთხრობილი. ისინი ცრემლიანი ხმით ყვებიან მათი ცხოვრების ბედისწერად ქცეულ იმ მოვლენებზე, რომელთაც საუკუნეთა წინათ მშობლიური მიწიდან ბარბაროსულად განდევნილი ეზიურთა უსამშობლოდ დატოვებს და ქვეყნიდან ქვეყანაში მოხეტიალე ხალხად აქციებს.

ეზიური ხალხის ტრაგიკული ისტორიული ხვედრის ამგვარი გააზრება სულიერ პესიმიზმად კი არ გარდაიქმნება, არამედ, პირიქით, ეროვნული თვითმეგნებისა და საბრძოლო სულისკვეთების კიდევ უფრო მეტად განმამტკიცებელ იმ ძალად იქცევა, რომელმაც ოცდაექვსი საუკუნის წინათ მშობლიური მიწიდან აყრილ და გამოდევნილ ერს კვლავ უნდა დაუბრუნოს ძველი დიდება და სახელმწიფოებრივი ძლიერება.

ეზიური ხალხის ისტორიიდან ქართველი მწერლები ყველაზე ხშირად იმ ტრაგედიას იხსენებენ, რის შედეგადაც ბაბილონელების მიერ აკლემული ეზიური სახელმწიფო ნანგრევებად იქცა, წინაპართა ფუძიდან აყრილი ეზიური ერის კი ოცდაექვსი საუკუნის განმავლობაში დარჩა უსამშობლოდ. ქართული მწერლობის ბევრი წარმომადგენელი ამ ტრაგიკულ მოვლენას ღვიძლი ეროვნული ტკივილივით განიცდის. მაგალითად, ს. შანშიაშვილის „ფსალმუნის“ (1908 წ.) ნაკითხვით მკითხველს ისეთი შთაბეჭდილება ექმნება, თითქოს მდინარე ბაბილონის პირას სამშობლოს ტრაგიკული ბედის გამო მწარედ აგოდებულ ეზიურ თემს, თავად პოეტიც იჯდეს და დასტიროდეს ეზიური სახელმწიფოს დასამარებას:

ბაბილონისა მდინარის კიდვს მწარედ ვსტიროდით სევდით მოცული, რა ჟამს სიონი ჩვენ მოვისხენეთ დამცირებული, აონრებული.. მუნ არ ისმოდა ხმა საკრავისა, ძენზე დაგვიდეთ საგალობელი, რამეთუ წმინდა უფლის გალობით არ დამტკბარიყო ჩვენთ წარმტყვეველნი!

ლექსში გამოხატულ ტკივილს მეტ სიმძაფრეს სძენს ყოველი ჭეშმარიტი ეზიურის მიერ მარადიული ერთგულების ფიცად ქცეული იმ სიტყვების პოეტიზება, რომელთა მეშვეობითაც ისინი მათი ეროვნული თვითმყოფადობის საფუძვლად ქცეულ უწმინდეს ქალაქს – იერუსალიმს სიყვარულსა და ერთგულებას უდასტურებენ.

როგორც ცნობილია, 1928 წლის 10 მაისს ქუთაისის ეზიურთა უბანში გაჩენილმა ხანძარმა ასეულობით ადამიანი დატოვა უსახლკაროდ. ხელისუფლების მიერ შედგენილი კომისიის დასკვნით, ამ ხანძრის შედეგად ქუთაისში 280 სახლი დაინვა.


ამ სამწუხარო მოვლენამ, რომელმაც მთელი საქართველო შეძრა, მხატვრულ ლიტერატურაშიც პოვა სათანადო ასახვა. კერძოდ, ქუთაისის ხანძრის შედეგად ეზიურებისათვის თავსდატყბილი უბედურების ამსახველ ნაწარმოებთაგან მკითხველს მიხდა შევასხენო პაოლო იაშვილის, გერცელ ბაზოვისა და იმ პერიოდში მოღვაწე სხვა მწერალთა ნაწარმოებები. დასახელებულ ავტორთაგან პაოლო იაშვილი (1892-1937 წწ.) ერთ-ერთი პირველთაგანი იყო, ვინც აღნიშნულ მოვლენას პოეტური სიტყვით გამოეხმაურა. მხედველობაში მაქვს ლექსი „ქუთაისის ხანძარი“ (1928 წ.), რომელშიც პოეტი უღრმეს მწუხარებას გამოხატავს ამ ტრაგედიის შედეგად უსახლკაროდ დარჩენილი ხუთი ათასი ეზიურის უმძიმესი მდგომარეობის გამო. ნათქვამის ნათელსაყოფად დავიმოწმებ ფრაგმენტს ლექსიდან:

მესმის ზრიალი ეზიურების, მთელი გოდება ხანძარიან ქარში; ათრთოლებული მათი ხელები გამოეთხოვა ფართალს და არშინს.

ეზიურებისათვის თავსდატყბილ ამ უბედურებას პ. იაშვილი საქვეყნო ტრაგედიად მიიჩნევს და არა მხოლოდ უბრალო თანაგრძობას უტყუარებს მის ეზიურ თანამემამულეებს, არამედ იმასაც დაბეჭდვით აღნიშნავს, რომ მათი მწუხარება მთელი ჩვენი საზოგადოებისთვისაც ნიღბდომი-

ლი ტკივილი იყო. ეზიურთა უბანში მომხდარ ხანძარს გალაკტიონ ტაბიძეც (1891-1959 წწ.) გამოხმაურებია იმავე წელს დაწერილი ლექსით „ცეცხლი ქუთაისში“. მართალია, პოეტს მასში ამ ტრაგიკული მოვლენის დეტალები დაკონკრეტებული არა აქვს, მაგრამ მკითხველისათვის მაინც აშკარად ნათელი ხდება ის ფაქტი, რომ ხსენებული ნაწარმოები სწორედ ეზიურთა დასახლებაში დატრიალებული უბედური შემთხვევისადგია მიძღვნილი.

საზოგადოებას დიდი გულისტკივილით ვაუწყებ, რომ, 28 მაისს ისრაელში, გარდაიცვალა **ისაპ დავარაშვილი**, ჩემი საყვარელი ბიძა და ეზიური თემის უკეთილშობილესი წევრი... ნათელში იყოს... **მარინა სოლომონიშვილი**



ციალა, გურამ, მალხაზ ბათიაშვილები, ლანა და გურამ ხარაზიშვილები, რობერტ მიხელაშვილი ღრმა მწუხარებით იუნყებიან ჩვენი თემის ღირსეული წევრის, **ისაპ დავარაშვილის** გარდაცვალებას.

ბესო, რომან, ბელა მიხელაშვილები სამძიმარს უცხადებენ გია დავარაშვილს მამის — ძვირფასი პიროვნების **ისაპ დავარაშვილის** გარდაცვალების გამო.

შვილები: ბესო, ზურა და ია ბაზოვიები, შვილიშვილი - მარიამ ნინუაშვილი, სიძე - აბრამ ნინუაშვილი, ახლო ნათესავები იუნყებიან, რომ დაუვიწყარი დედის, ბების, სიდედრის **მერი მანაშაშვილის** — **მირიამ ბათ მანაშაშვილის** მინ რიკაა ეზიურ გარცემის წლისთავი აღინიშნება 8 ივლისს. ქარელის სასაფლაოზე გასვლა — 8 ივლისს - დილის 10 საათზე, სალოცავიდან. სეყუდა - 8 ივლისს - დღის 17 საათზე.

